



დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2016 წლის 22 დეკემბერი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 ნოემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: „დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 ნოემბრის №20 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 30/11/2016, 190020020.35.156.016246 )) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 4805,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 4979,3 ათასი ლარის ოდენობით და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.  
მიღებული იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ოდენობა 4979,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:  
ა) გადასახადები - 1830,0 ათასი ლარი,  
ბ) გრანტები - 2869,0 ათასი ლარი,  
გ) სხვა შემოსავლები - 280,3 ათასი ლარი
2. განისაზღვროს არაფინანსური აქტივების კლება 25,0 ათასი ლარის ოდენობით.
3. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 4830,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 5004,3 ათასი ლარის ოდენობით და მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 5004,3 ათასი ლარის ოდენობით.
4. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0101 – „მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ გადასახდელები 403,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 379,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლი 245,0 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 134,0 ათასი ლარი;
5. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0102 – „მუნიციპალიტეტის გამგეობის“ გადასახდელები 1541,2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1397,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლი 785,2 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 458,5 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 100,0 ათასი ლარი, გრანტები 20,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 4,5 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 29,5 ათასი ლარის ოდენობით;



6. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0103 - „მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი“ 80,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 70,0 ათასი ლარის ოდენობით.
7. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0203 - „თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის“ გადასახადები 65,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 61,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის „შრომის ანაზღაურება“ 54,0 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 7,0 ათასი ლარი.
8. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0103 - „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის“ გადასახდელების მუხლი 860,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1178,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1128,4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 50,0 ათასი ლარი.
9. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 030204 - დასუფთავების ღონისძიებების“ სუბსიდირება 270,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 258,0 ათასი ლარის ოდენობით.
10. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 030301 - „მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობის“ გადასახდელების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 132,2 ათასი ლარის ოდენობით.
11. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 030202 - „ბინათმშენებლობა“ გადასახდელების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 300,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 310,0 ათასი ლარის ოდენობით.
12. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0402 - „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ სუბსიდირება 65,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 60,0 ათასი ლარის ოდენობით.
13. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 050101 - „სპორტული სკოლის“ სუბსიდირება 160,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 145,0 ათასი ლარის ოდენობით.
14. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 050201 - „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ სუბსიდირება 250,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 225,0 ათასი ლარის ოდენობით.
15. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 050203 - „სამუსიკო სკოლის“ სუბსიდირება 80,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 74,0 ათასი ლარის ოდენობით.
16. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 050204 - „ბიბლიოთეკების“ სუბსიდირება 75,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 70,0 ათასი ლარის ოდენობით.
17. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 050202 - „დმანისის დრამატული თეატრის“ დაფინანსება ამოღებული იქნეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით.
18. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0601 - „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების“ სუბსიდირება 48,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 45,0 ათასი ლარის ოდენობით;
19. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 060201 - ავადმყოფთა სოციალური დაცვის“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 90,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 85,0 ათასი ლარის ოდენობით;
20. დადგენილების მე-17-ე მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0060203 - „სოციალურად დაუცველთა ოპერაციების დაფინანსების“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 80,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 70,0 ათასი ლარის ოდენობით;
21. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ლერი ბერუაშვილი



განმარტებითი ბარათი  
დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 1-ლი დეკემბრის №04-03/132931 წერილის საფუძველზე „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ტრანსფერი განისაზღვრა 2869,0 ათასი ლარით, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 2739,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 130,0 ათასი ლარი, ხოლო გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 1830,0 ათასი ლარი. აქედან: ქონების გადასახადი 1550,0 ათასი ლარი, საშემოსავლო გადასახადი 280,0 ათასი ლარი.

რაც შეეხება სხვა შემოსავლებს რჩება იგივე 280,0 ათასი ლარის ოდენობით და მთლიანობაში 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა შეადგენს 4979,3 ათას ლარს, რომელიც შემდგომ გადანაწილებულია და ცვლილებებია შეტანილი მე-17 მუხლით დამტკიცებულ ასიგნებებში.



თავი I

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8,009.1	8,260.9	2,500.6	5,760.3	4,979.3	0.0	4,979.3
გადასახადები	1,731.6	2,150.0	0.0	2,150.0	1,830.0	0.0	1,830.0
გრანტები	4,082.1	4,530.5	2,500.6	2,029.9	2,869.0	0.0	2,869.0
სხვა შემოსავლები	2,195.4	1,580.4	0.0	1,580.4	280.3	0.0	280.3
ხარჯები	3,254.5	3,727.3	50.0	3,677.3	3,333.7	0.0	3,333.7
შრომის ანაზღაურება	1,112.5	1,122.0	0.0	1,122.0	1,084.2	0.0	1,084.2
საკონელო და მომსახურება	700.8	1,065.3	50.0	1,015.3	786.5	0.0	786.5
სუბსიდიები	1,090.5	1,318.0	0.0	1,318.0	1,252.0	0.0	1,252.0
გრანტები	169.4	40.0	0.0	40.0	20.0	0.0	20.0
სოციალური უზრუნველყოფა	173.6	164.0	0.0	164.0	161.5	0.0	161.5
სხვა ხარჯები	7.7	18.0	0.0	18.0	29.5	0.0	29.5
საოპერაციო სალდო	4,754.6	4,533.6	2,450.6	2,083.0	1,645.6	0.0	1,645.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,629.8	6,109.8	2,461.8	3,648.0	1,645.6	0.0	1,645.6
ზრდა	3,650.5	6,119.8	2,461.8	3,658.0	1,670.6	0.0	1,670.6
კლება	20.7	10.0	0.0	10.0	25.0	0.0	25.0
მთლიანი სალდო	1,124.8	-1,576.2	-11.2	-1,565.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,118.5	-1,606.2	-11.2	-1,595.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	1,147.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,147.7	0.0	0.0	0.0			
კლება	29.2	1,606.2	11.2	1,595.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	29.2	1,606.2	11.2	1,595.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-6.3	-30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0
ზრდა							
საგარეო							
საშინაო	0.0						
კლება		30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0
საგარეო							
საშინაო	6.3	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0
					0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0				0.0	0.0	0.0



**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	8029.8	8270.9	2500.6	5770.3	5004.3	0.0	5004.3
შემოსავლები	8009.1	8260.9	2500.6	5760.3	4979.3	0.0	4979.3
არაფინანსური აქტივების კლება	20.7	10.0	0.0	10.0	25.0	0.0	25.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	6905.0	9847.1	2511.8	7335.3	5004.3	0.0	5004.3
ხარჯები	3254.5	3727.3	50.0	3677.3	3333.7	0.0	3333.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3650.5	6119.8	2461.8	3658.0	1670.6	0.0	1670.6
ნაშთის ცვლილება	1124.8	-1576.2	-11.2	-1565.0	0.0	0.0	0.0

**მუხლი 3. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 4979.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8009.1	8260.9	2500.6	5760.3	4979.3	0.0	4979.3
გადასახდელები	1731.6	2150.0		2150.0	1830.0		1830.0
გრანტები	4082.1	4530.5	2500.6	2029.9	2869.0	0.0	2869.0
სხვა შემოსავლები	2195.4	1580.4		1580.4	280.3		280.3



**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>გადასახადები</b>	<b>1731.6</b>	<b>2150.0</b>	<b>0.0</b>	<b>2150.0</b>	<b>1830.0</b>	<b>0.0</b>	<b>1830.0</b>
საშემოსავლო გადასახადი	0	450.0	0.0	450.0	280.0	0.0	280.0
<b>ქონების გადასახადი</b>	<b>1731.6</b>	<b>1700.0</b>	<b>0.0</b>	<b>1700.0</b>	<b>1550.0</b>	<b>0.0</b>	<b>1550.0</b>
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1015.8	1100.0	0.0	1100.0	1060.0	0.0	1060.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	687.6	580.0	0.0	580.0	470.0	0.0	470.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	26.1	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
<b>სხვა გადასახადები</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2869.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
<b>გრანტები</b>	<b>4082.1</b>	<b>4530.5</b>	<b>2869.0</b>
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4082.1	4530.5	2869.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1770.3	2029.9	2869.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	1655.3	1914.9	2739
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	115.0	115.0	130.0
ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2311.8	2500.6	0.0
საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1653.3	1406	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	658.5	600.6	0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები	0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი		494	0.0



**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 280.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>2195.4</b>	<b>1580.4</b>	<b>0.0</b>	<b>1580.4</b>	<b>280.3</b>	<b>0.0</b>	<b>280.3</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	2110.0	1510.0	0.0	1510.0	180.0	0.0	180.0
პროცენტები	61.9	50.0	0.0	50.0	0.0		0.0
რენტა	2048.1	1460.0	0.0	1460.0	180.0	0.0	180.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1966.8	1400.0		1400.0	90.0		90.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	81.3	60.0		60.0	90.0		90.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	44.2	30.4	0.0	30.4	52.3	0.0	52.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9.1	11.4	0.0	11.4	17.3	0.0	17.3
სანებართვო მოსაკრებელი	2.7	5.0		5.0	2		2.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.4		0.4	0		0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.4	6.0		6.0	15.3		15.3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		0	0		0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	35.1	19.0	0.0	19.0	35.0	0.0	35.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	35.1	19.0		19.0	35.0	0.0	35.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	41.0	40.0		40.0	25.0		25.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.2	0.0	0.0	0.0	23.0		23.0



**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3333.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,254.5	3,727.3	50.0	3,677.3	3,333.7	0.0	3,333.7
შრომის ანაზღაურება	1,112.5	1,122.0		1,122.0	1,084.2		1,084.2
საქონელი და მომსახურება	700.8	1,065.3	50.0	1,015.3	786.5	0.0	786.5
სუბსიდიები	1,090.5	1,318.0		1,318.0	1,252.0		1,252.0
გრანტები	169.4	40.0		40.0	20.0		20.0
სოციალური უზრუნველყოფა	173.6	164.0		164.0	161.5		161.5
სხვა ხარჯები	7.7	18.0		18.0	29.5		29.5

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1645.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1670.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	315.2	290.30	100.00
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3306.6	5829.5	1570.6
0500	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის სელშეწყობა და სპორტი	28.7	0.0	0.0
სულ ჯამი		3650.5	6119.8	1670.6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 25.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	20.7	10.0	25.0
ძირითადი აქტივები	9.5	5.0	20.0
არაწარმოებული აქტივები	11.2	5.0	5.0
მიწა	11.2	5.0	5.0



**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,950.9	2,190.6	1,848.7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0.0	0.0	0.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,950.9	2,190.6	1,848.7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0		
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0		
702	თავდაცვა	61.4	65.0	61.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	164.7	0.0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	164.7	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,228.3	4,602.4	1,178.4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0		
70421	სოფლის მეურნეობა			
7045	ტრანსპორტი	0.0		
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,228.3	4,602.4	1,178.4
705	გარემოს დაცვა	216.2	270.0	258.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	216.2	270.0	258.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,204.7	1,487.1	472.2
7061	ბინათმშენებლობა	240.0	267.3	310.0
7063	წყალმომარაგება	219.7	50.5	30.0
7064	გარე განათება	2.1	103.3	0.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	742.9	1,066.0	132.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	48.0	48.0	45.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	48.0	48.0	45.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	473.8	585.0	514.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	153.7	160.0	145.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	320.1	425.0	369.0
709	განათლება	315.5	387.0	385.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	264.4	322.0	325.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	51.1	65.0	60.0
710	სოციალური დაცვა	247.7	242.0	242.0
7101	ხანდგაზმულთა სოციალური დაცვა	79.2	87.0	85.0
71011	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	43.2	48.0	50.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	125.3	107.0	107.0
	<b>სულ</b>	<b>6,911.2</b>	<b>9,877.1</b>	<b>5,004.3</b>



### **მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0.0 ათასი ლარი.

### **მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარი.
2. განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარი.

### **მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება.

### **მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 70.0 ათასი ლარის ოდენობით.

### **მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 130.0 ათასი ლარი მიიმართოს:
  - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 45.0 ათასი ლარი;
  - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61.0 ათასი ლარი;
  - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათასი ლარი;
  - დ) მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ „საქართველოს 2015 წლის 16 ივლისის #4036 კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის, მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებულ იქნეს დელეგირებული უფლებამოსილებებიდან სავარაუდოდ 22,0 ათასი ლარი გამგეობის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში.
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

### **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**



მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

### დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

##### 1. თავდაცვა.

ისევე როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე დმანისის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს; მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

##### 1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

##### 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2017 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში წყალ-მომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის



მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

## **2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ:

ქ.დმანისში ჭუბერის და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე გაგრძელდება სოფ. ირგანჩაის-საფარლო, სოფ. კიზილაჯლო-იფნარის გზის 3კმ-იანი მონაკვეთის მოასფალტება. ქ.დმანისში არსებული ქუჩების ასფალტ-ბიტონის გზის და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ასევე სოფ. დალარის მისასვლელი გზის მოასფალტება.

### **მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებთან მისასვლელი გზები.

### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- რეაბილიტირებული გზების ზრდა 30%-ით.

## **2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალ-მომარაგების და გარე განთების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

### **2.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფელებში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო-სამუშაოები და მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის წყლის მიწოდება. ასევე გათვალისწინებულია სოფ. გომარეთის მთის წყლის სათავენაგებობის და 6კმ-იანი მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაცია.

### **2.2.2 ბინათმშენებლობა პროგრამული კოდი 03 02 02**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.დმანისში მრავალსართულიანი შენობების საცხოვრებელი ბინების სახლის სახურავების რეაბილიტაცია.

### **2.2.3 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა.

### **2.2.4. დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 04)**



ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქ დმანისის ცენტრალურ ქუჩებზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა კვირაში 3 დღე, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდ თოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ბინათმშენებლობაში გათვალისწინებულია მრავალსართულიანი ბინების სახურავების მოვლა-შენახვა, გარე განათების ქსელის გაფართოება, ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისაგან დაცვა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქუჩების განათების ზრდა.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან განთავისუფლება.

**2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება.

**2.3.1 ქალაქის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ნახაზების მომზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ დმანისის ქუჩების შენობა-ნაგებობების შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები**

- ქალაქ დმანისის კეთილმოწყობა
- შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილების რაოდენობა;
- საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობა;

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. საანგარიშო წელს გათვალისწინებულია სარკინეთი-განახლება-ველისპირის სოფლებში ერთი საბავშვო მშენებლობა. აღიჭურვა სათანადო ინვენტარით. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს



მოსახლეობის დასაქმებას. ყველა ბაღში დაგეგმილია შენობების ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა და მათი კეთილმოწყობა.

### 3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 340 ბავშვის ოდენობით, თითოეულ ჯგუფში დასაშვებია კონტიგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 44 საშტატო ერთეული.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა

კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები;

### 3.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინგლისურის, ქართული ენის ჯგუფები ეთნიკური უმცირესობისათვის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 16 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია 10-10 მოსწავლე, რომლის რაოდენობაც საშუალოდ შეადგენს -154 მოსწავლეს. დამანისის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;
- #### შედეგების შეფასების ინდიკატორები
- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;

## 4. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 204-მდე სპორტსმენს;



#### 4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც უდაო ასახვას ჰპოვებს შემდგომ ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. 2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისებებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

#### 4.1.2 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“ ექვსი ჯგუფი,სადაც გაერთიანებულია 96 მოსწავლე, ჭადრაკის 2 ჯგუფში 20 მოსწავლე,ხოლო „ქართული ჭიდაობის“, „ფეხბურთის“, ფრენბურთის, თავისუფალ ჭიდაობის, ორთაბძოლა,ტაიკონდის და ხრიდოლის თითო-თითო ჯგუფში გაერთიანებულია 88 მოსწავლე სულ 204-მდე მოსწავლე;

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- ❑ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- ❑ აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❑ ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- ❑ სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა;

#### 4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები,რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომელშიც სწავლობს 148-მდე მოსწავლე,ხოლო მუსიკალურსკოლებში სწავლობს -80-მდე მოსწავლე, სადაც ემსახურება 10 პედაგოგი, რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოდ თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით და 4 ბიბლიოთეკა .

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;

#### 4.2.1 კულტურის ცენტრის დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები,რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.



ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა და 4 ბიბლიოთეკა.

#### 4.2.2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02– 05 02 03- 05-02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სუბსიდირება კულტურის, მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკების გაერთიანება. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ხორციელდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება;
- კულტურის ობიექტების გამართული მუშაობა;

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურის ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა;

#### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

##### 5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;



- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებასაცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქ. დმანისის და მის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

## 5.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### 5.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა(პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, 0-დან 100000 ქულამდე) საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ოპერაციებზე დახმარების გაწევას, რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება. ასევე სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ონკოლოგიური და ლეიკემიით დაავადების მქონე პირების დახმარება, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდებიან და მარჩენალდაკარგული ოჯახების გამოკვლევა-მკურნალობით და მედიკამენტებით დახმარების პროგრამას.

### 5.2.2 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (მარტოხელა უკიდურესადგაჭირვებული) ,მყოფი 42-მდე ბენეფიციარის ყოველდღიურად ერთჯერადი კვება ცხელი კერძებით ბენეფიციერების მიერ სახლში გატანებით.

### 5.2.3 სოციალურად დაუცველთა ოპერაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველთა რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70-100000-მდე სტაციონალური სამედიცინო ერთჯერადი დახმარება.

### 5.2.4 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;

### 5.2.5 მუნიციპალური ტრანსპორტით სტუდენტების, ვეტერნების და უსინათლოების მგზავრობის საფასურის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 02 05)



**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სხვადასხვა ყოფითი სახის სტაციონალური დახმარება;
- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა
- 

**მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

დასახელება	2016 წლის გეგმა				2017 წლის გეგმა		
	2015 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
